

შპს „გეოლოგიური კვლევის ცენტრი“

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	კომ.	31.12.22	31.12.21
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	325 415,71	167 594,26
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	15 875 139,04	17 457 022,80
სასაქონლო მარაგები		3 284,73	301 941,93
		16 203 839,48	17 926 558,99
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ფიქსირებული და არაფიქსირებული აქტივები	5	320 052,88	91 744,54
გაცემული სესხები	6	11 356 885,66	12 517 694,85
		11 676 938,54	12 609 439,39
		27 880 778,02	30 535 998,38
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	31 376,08	17 445,31
		31 376,08	17 445,31
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	8	37 603 980,90	39 326 178,00
		37 603 980,90	39 326 178,00
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(9 754 578,96)	(8 807 624,93)
		(9 754 578,96)	(8 807 624,93)
		27 880 778,02	30 535 998,38

დირექტორი

ბ. თევდორაძე



ბუღალტერი

ნ. ველთაური

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

	2022	2021
საქონლის გაყიდვიდან	1 073 745,07	131 902,54
მომსახურების გაწევიდან	-	105 655,60
	1 073 745,07	237 558,14
გაყიდვების თვითღირებულება	(763 421,92)	(27 634,30)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3 151,20	7 252,63
დასაქმებულთა ანაზღაურება	(731 521,37)	(279 154,09)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(76 960,53)	(24 382,46)
საპროცენტო შემოსავალი	774 173,40	861 462,18
საპროცენტო ხარჯი	(2 506 941,97)	(2 714 288,03)
იჯარის ხარჯი	(111 952,08)	(108 157,35)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(155 134,71)	(104 714,15)
	(3 568 607,98)	(2 389 615,57)
საოპერაციო მოგება	(2 494 862,91)	(2 152 057,43)
წმინდა მოგება / (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	1 547 908,88	436 246,46
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(946 954,03)	(1 715 810,97)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(8 807 624,96)	(7 091 813,99)
კაპიტალის გაზრდა	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(9 754 578,99)	(8 807 624,96)

დირექტორი

ბ. თევდორაძე

ბუღალტერი

ნ. ველთაური



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “გეოლოგიური კვლევის ცენტრი” რეგისტრირებულია 2014 წლის 19 დეკემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის 14ა, ბინა 21. მისი ძირითადი საქმიანობაა გეოლოგიური კვლევა მიემა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან ან/და მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ოფისის აღჭურვილობა 20 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 20 პროცენტი
- ავეჯი და ინვენტარი 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები 20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.22	31.12.21
ფული ბანკში	325 415,71	167 594,26
	325 415,71	167 594,26

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.22	31.12.21
დებიტორული მოთხოვნები	15 862 716,92	17 445 183,28
საგადასახადო აქტივი	12 422,12	-
გადახდილი ავანსები	-	11 839,52
	15 875 139,04	17 457 022,80

5. წმინდა ფიქსირებული და არაფიქსირებული აქტივები

	31.12.21	წმინდა მიღება/(გასვლა)	ცვლილება	31.12.22
ისტორიული ღირებულება				
მანქანა დანადგარები	4 172,88	300 918,20	-	305 091,08
ოფისის აღჭურვილობა	77 943,44	-	-	77 943,44
ავეჯი და ინვენტარი	15 445,92	-	-	15 445,92
სატრანსპორტო საშუალებები	140 206,63	-	-	140 206,63
იჯარის კეთილმოწყობა	-	3 635,20	-	3 635,20
არამატერიალური აქტივები	98 411,45	-	-	98 411,45
	336 180,32	304 553,40	-	640 733,72
აკუმულირებული ცვლილება				
მანქანა დანადგარები	(3 149,18)	715,47	(60 531,47)	(62 965,18)
ოფისის აღჭურვილობა	(56 514,51)	-	(4 285,80)	(60 800,31)
ავეჯი და ინვენტარი	(11 703,42)	-	(748,78)	(12 452,20)
სატრანსპორტო საშუალებები	(108 965,45)	-	(6 248,24)	(115 213,69)
იჯარის კეთილმოწყობა	-	-	-	-
არამატერიალური აქტივები	(64 103,22)	-	(5 146,24)	(69 249,46)
	(244 435,78)	715,47	(76 960,53)	(320 680,84)
საბალანსო ღირებულება				
მანქანა დანადგარები	1 023,70	301 633,67	(60 531,47)	242 125,90
ოფისის აღჭურვილობა	21 428,93	-	(4 285,80)	17 143,13
ავეჯი და ინვენტარი	3 742,50	-	(748,78)	2 993,72
სატრანსპორტო საშუალებები	31 241,18	-	(6 248,24)	24 992,94
იჯარის კეთილმოწყობა	-	3 635,20	-	3 635,20
არამატერიალური აქტივები	34 308,23	-	(5 146,24)	29 161,99

	91 744,54	305 268,87	(76 960,53)	320 052,88
--	-----------	------------	-------------	------------

6. გაცემული სესხები

სესხები მოიცავს უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებს. გაცემულ სესხებზე პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად, მარტივი პროცენტის პრინციპით.

	31.12.22	31.12.21
გაცემული სესხები	6 414 441,35	7 538 287,69
მისაღები პროცენტები	4 942 444,31	4 979 407,16
	11 356 885,66	12 517 694,85

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.22	31.12.21
სავაჭრო კრედიტორები	31 376,08	1 223,35
საგადასახადო ვალდებულებები	-	991,41
მოკლევადიანი სესხები და პროცენტები	-	15 230,55
	31 376,08	17 445,31

8. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები მოიცავს გრძელვადიან სესხს, რომელიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში. პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად, მარტივი პროცენტის პრინციპით.

	31.12.22	31.12.21
მიღებული სესხები	24 179 913,19	26 257 085,18
გადასხდელი პროცენტები	13 424 067,71	13 069 092,82
	37 603 980,90	39 326 178,00